ყოველთვიური საინფორმაციო გამოცემა:

USAID – დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამა საქართველოში



პროექტის შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) მე-19 მუხლისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, USAID-ის დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამა საქართველოში აფუძნებს დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრებს (ILC), საქართველოს ექვს მუნიციპალიტეტში (ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, თელავში და ლაგოდეხში).

დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრები ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევა-შენარჩუნებას; ქვეყანაში არსებულ სერვისებზე წვდომის ზრდას; სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ბარიერების დაძლევას; ადგილობრივი მთავრობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სერვისის მიმწოდებელთა დაკავშირებას.

პროგრამის მიმდინარე აქტივობები:

პროგრამის წარმომადგენელთა ვიზიტი სამიზნე მუნიციპალიტეტებში ლიდერთა მოსაზიდად / რეკრუტირებისთვის:

16-დან 21 ოქტომბრამდე ჩატარდა ცამეტი საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში, ქუთაისში, ლაგოდეხში, ოზურგეთში, თელავში და ზუგდიდში. შეხვედრებს 110-ზე მეტი დაინტერესებული პირი დაესწრო. პროგრამა ითვალისწინებს 33 ადგილობრივი ლიდერის (თითოეულ თემში 6) შერჩევას, რომლებიც დასაქმდებიან დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრებში (ILC). ეს ლიდერები იქნებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და/ ან მათი ოჯახის წევრები და იმუშავებენ თემში როგორც მენტორები, ინფორმაციის მიმწოდებლები და ადვოკატები.



დამოუკიდებელი ცხოვრების ლიდერთა შერჩევა:

მრავალი საკონკურსო განაცხადის გადარჩევისა და ინტერვიუს შედეგად, ექვს სამიზნე მუნიციპალიტეტში შეირჩა 39 ლიდერი დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრებში (ILC) დასაქმების მიზნით.

ტრენერების შერჩევა:

პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ტრენერთა შერჩევა. საბოლოო ადაწყვეტილება ტრენერთა შესახებ განხორციელდა მათი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და ტრენინგთა დაკავშირებული საკითხთა შემოთავაზებების გათვალისწინებით. საწყის ეტაპზე დაგეგმილი იყო ტრენინგების ჩატარება პირისპირ შეხვედრების ფორმატში, თუმცა თითოეული მონაწილის უსაფრთხოების გათვალისწინებით და რეგულაციების შესაბამისად ტრენინგები ჩატარდება ონლაინ ფორმატში.

დეკემბერში დაგეგმილია შემდეგი ტრენინგები:

- დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფია (შესავალი)
  - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის - გია ძნელაძე
- განათლების სისტემა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (1 დღე)
  - მარიკა ზაქარეიშვილ
- სოციალური სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (1 დღე)
  - ნანა გოჩიაშვილი, სალომე ჭიჭინაძე
- ჯანდაცვის სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (1 დღე)
  - ქეთევან გოგინაშვილი
- განვითარების დარღვევები და საჭიროებები (3 დღე)
  - მაკ - ჯორჯია
- ოკუპაციური და ფიზიკური თერაპია (4 დღე)
  - მაკ - ჯორჯია

პროგრამის დაწყების ღონისძიება:

50-ზე მეტი მონაწილე დაესწრო და მონაწილეობა მიიღო პროგრამის დაწყების ღონისძიებაში, რომელიც მიეძღვნა პროგრამის მიზნების, ძირითადი გამოწვევებისა და თანამშრომლობის სფეროების განხილვას. ღონისძიებაში მონაწილეთა შორის იყვნენ: USAID, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG), კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) და სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები.

პროგრამის სამომავლო აქტივობები:

ლიდერთა ტრენინგი:

დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრებში საქმიანობის დაწყებამდე, შერჩეული 39 ლიდერი მონაწილეობას მიიღებს 11 ინტენსიურ ტრენინგ მოდულში. დეკემბერში ლიდერები დაესწრებიან ონლაინ ტრენინგების პირველ ეტაპს, ქვემოთ ჩამოთვლილ თემებზე:

· დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფია (შესავალი)
· განათლების სისტემა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების
· სოციალური სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის
· ჯანდაცვის სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის
· განვითარების დარღვევები და საჭიროებები
· ოკუპაციური და ფიზიკური თერაპია

სხვა აქტივობები:

პარტნიორთა და დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა: 28 იანვარი 2021